საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 934-02
19/05/2022

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რეგიონალურ კვლევით ბაზებზე კვებითი მომსახურების ტარიფების განსაზღვრის შესახებ

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის "ზ" ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული, ''სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების''_ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის "თ" ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზებისა და დამხმარე ობიექტების სამსახურის უფროსის, გიორგი ოლგესაშვილის 2022 წლის 19 მაისის სამსახურებრივი ბარათის (რეგ: N 6441-35) გათვალისწინებით

ვბრძანებ

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რეგიონალურ კვლევით ბაზებზე კვებითი მომსახურების ტარიფები განისაზღვროს დანართი 1-ის შესაბამისად;
2. ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2018 წლის 20 თებერვლის N345-02 ბრძანება - „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კუთვნილ რეგიონალურ კვლევით ბაზებზე კვებითი მომსახურების ტარიფების განსაზღვრის შესახებ";
3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს უნივერსიტეტის ბაზებისა და დამხმარე ობიექტების სამსახურის უფროსს (გიორგი ოლგესაშვილი);
4. დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ბრძანების უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსება;
5. დაევალოს კანცელარიას ბრძანების ასლები მიაწოდოს: უნივერსიტეტის ბაზებისა და დამხმარე ობიექტების სამსახურს, უნივერსიტეტის რეგიონალური კვლევითი ბაზების ადმინისტრატორებს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და ბიუჯეტირებისა და ფინანსური ანალიზის სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს;

ქეთევან ლაკირბაია

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი